მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | ტფილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

სტამბის მიზეზის გამო გუშინდელი ნომერი არ გამოვიდა, მხოლოდ დღეს გამოდის დამატებით. (6 გვერდი).

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2—ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 25 — პარასკევი, 7 ივლისი 1906 წ. თბილისი — № 25



ქ. ბათუმში.

კვირას, 9 ივლისს

ქართული „ახალი დრამის" ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა თ. კ. დ. ერისთავისა.

I

კესარია გატონიშვილი

II

რაც არ შერგება არ შეშერგება.

კომ. 1 მ. ვ. გუნიასი

განსასამღსა ამ წარმოდგენისათვის დაბარებულია თბილისიდან

მონაწილეობენ ქ.ქ. მ. მღივანი, ნ. ჯავახიშვილისა. ბ.ბ. ბაქრაძე, გვარამაძე, დადიანი, მუმლაძე. ურუშაძე, შალიკაშვილი და სხვ

დასაწყისი 9 საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე

რეჟისსორი შ. დადიანი


## ხალხის შიმშილი და მთავრობის გაუმაძღრობა.

როგორც იქმნა გამოიგონა მთავრობამ ისეთი ბადე, რომელშიდაც უნდა გაება მთელი რუსეთის 150 მილიონი ხალხი. თევზი ბევრი იყო და დიდრონიც. ამიტომ ღირდა კიდეც ისეთი ბადის გამოგონება, რომელიც მთელი რუსეთის ხალხს მოგ გაახვევდა. რევოლიუცია გასული წლებში მთავრობამ დაინახა, რომ წყალი ძალზე აიმღვრა. რადგან ამოდენა რევოლიუციის მოზღვავებული ტალღების დაწმენდის ძალა არ შესწევდა, მთავრობამ თეორია გვერდზე გადასდო და მიჰყო ხელი პრაქტიკას. იფიქრა თევზებს მაინც დავიჭერო. ამისათვის გამოიფიქრა განსაკუთრებული ბადე—„დუმა". „დუმა" მართლა კარგი ბადე გამოდგა მოსალოდნელიც იყო, რადგან „პლანი" ამ პოლიტიკური ბადის შეადგინა თვით მეთევზე ვიტემ. ვიტე განთქმული მეთევზე იყო. ბევრი დაიჭირა თევზები პორტსმუტში, პორტ-არტურში, მანჯურიაში, ბევრი დაიჭირა აგრეთვე თვით რუსეთში, მაგრამ ერთ დღეს ბედმა უმუხთლა: შედგა ვიტე წყლის პირად და მოანდობა უკანასკნელი თევზების მოსპობა. თვალები გამოქაჯა, წელში მოიბღუნძა, პირი დააღო, ყარამან ყათილივით ნარა გასწია თევზების გასაყრუებლად და ბოლოს გადაისროლა, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს ფეხ ქვეშ მიწა მოინგრა და მეთევზე ვიტე წყალში ყირამალა გადაეშვა თავისი ბადიანათ.

მისმა ერთგულმა მემკვიდრეებმა მოიკრიბეს უკანასკნელი ძალა და ღონე, გამოათრიეს ნაანდერძევი ბადე—„დუმა" მაგრამ დახეთ მოწყალე იღბალს, თევზები მრავლად გამოჰყვა: უზარმაზარი ორაგული—კადეტი, უშველებელი ლოქო—სოციალ-დემოკრატი და სხვ.

როგორც იყო გაძღა გაუმაძღარი მთავრობა. მაგრამ ნუ იტყვით თურმე, მისი მაძღრობა გარეგნული გამოდგა: ნადიმის შუაზე, ვიღაც დაფლეთილი და ძონძებში გახვეული სტუმრები ესტუმრენ. უცებ ერთმა მათგანმა იცნა მწვანილი რომელიც თავისი ხელით დათესა და გაეზარდა ბოსტანში, მეორე ყველი, რომელიც თავის მშიერ შვილებს მოაკლო და გაყიდა ბაზარში, მესამე—ღვინო მშვენიერი, არომატიული, რომლის მოყვანაში და ბაზარზე გატანაში იმოდენი კოვზი ოფლი დაეღვარა, რამოდენიც ღვინის წვეთი მოეყვანა, მეოთხემ—დაინახა მშვენიერი ნაზუქები, ხაშაპურები და გაახსენდა მინდვრები, სადაც პურის ყანა ჰქონდა, რომელსაც ისე წვიმა და ნამი არ რწყავდა როგორც მისი ოფლი.

ამ სანახობაზე გული აუძგერდათ, გრძნობა აუტოკდათ, გონება ამოუძრავდათ, და მოინდომეს თავის თავის დანახვა მაგრამ ვერ დაინახეს, მაშინ შეხედეს ერთი-მეორეს და იცნეს თავის თავები ნახევრად შეხედეს პირშავ მასპინძლებს და სავსებით იცნეს თავის თავიც და მოქეიფე ყაჩაღებიც. მოსთხოვეს 50 მილიონი იმ უთვალავ მილიარდებიდან, რომელიც ამ ყაჩაღებმა ამ ღატაკებს წაართვეს. მიიღეს მშრალი უარი. მოსთხოვეს უკანასკნელათ 15 მილიონი, მაგრამ ამაზედაც ცივი უარი მიართვეს, მაშინ მოსთხოვეს „ადამიანის" სახელით „**სინიდისი**", მაგრამ ეს „გონებრივი სანოვაგე" არ აღმოჩნდა ყაჩაღების არც სუფრაზე, არც თავში.

მაშინ **გაუპატიურებული** სტუმრები წავიდნენ თავისთვის თავიანთ **სინიდისის** მოძრაობაში მოსაყვანად: გაანადგურეს ყველაფერი რაც კი თვითონ დაამუშავეს, **რათა სინიდ სიერთა სიმშილით უსინიდისო მაძღრები არ გამრავლებულიყვნენ.**

ალი.

## ახალი ამბავი

— 4 ივლისმე 8 საათზე პეტრე დიდის და ერმოლოვის ქუჩის კუთხეში ვიღაც უცნობებმა ყუმბარა ესროლეს პოლიციმეისტერს მარტინოვს. მარტინოვი მძიმედ დაჭრილი ხელში და ფეხში. ყუმბარის გახეთქის შემდეგ გაჩნდენ ჯარები და შეცვიდენ ერმოლოვის კუთხეში სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც თურმე ყველაფერი მილეწ-მოლეწეს. ამ დროს გიმნაზიის შენობაში საუბედუროთ ყოფილა მასწავლებლების კრება. გაათრებულს სალდათებს იქვე მოუკლავთ გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე, რომელსაც ყელი ჰქონია გამოგლეჯილი. საშინლათ უცემიათ მასწავლ. ღლონტისათვის და დაუჭრიათ მასწ. აბუთაძე. ამათ გარდა დაუჭრიათ მასწავლებელი გორგაძე. ამბობენ დაჭრილები არიან კიდევ გიმნაზიის შვეიცარი და პოლიციმეისტერის მხლებელი ჩაჩანიო.

— უმუშაოთ დარჩენილთა ინტელიგენთა ბიურო, როგორც იქნა მიაღწია მიზანს და მოარიგა საქმე გამგეობასთან. 570 უსაქმოთ დარჩენილი ინტელიგენტი მიიღეს სამუშაოთ. თითოეული მომუშავე მიიღებს 1. მან. 50 კაპ.

საამუშაო ამ 570 კაცში უნდა იქნეს განაწილებული. 200 კაცი იმუშავებს ქალაქის შენობის სანიტარული ასაწერათ. 300-მდე კაცი საერთო ქალაქის გადასაწერათ და 70 კაცი შეადგენს კანცელიარიის და კანტრიოლს. კანცელიარიას სათავეში იქნება ერთი უსაქმოთ დარჩენილი სტატისტი, რომელსაც მხოლოთ ერთს ექნებათვიური ჯამაგირი 70 მ.

ქალაქის სანიტარული და საერთო გადაწერა დაჯდება დაახლოვებით 27,650 მანეთი. უსაქმოთ დარჩენილები მანამ სამუშაოს შეუდგებიან მოისმენენ რამოდენიმე ლექციას. თუ როგორ უნდა სწარმოებდეს აწერა ქალაქის სანიტარულათ.

საქმეები დაიწყება არა გვიან 3—4 დღის.

— ამის წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მეტეხის კარებში მოჰკლეს ჩარკვიანი და მამაცევი.

როგორც შევიტყეთ ამ პატიმრებს თანახლდენ 4 სალდათი და აფიცერი ზაალოვი.

— ბათუმიდან გვატყობინებენ, 1 ივლისს შუადღის 4 საათზე რევოლვერებით შეიარაღებული სამი უცნობი თავდაესხა ნობელის ქარხნის ხაზინადარს, რომელსაც 19000 მანეთი მიჰქონდა ქარხანაში მოსამსახურეების დასარიგებლათ. ყაჩაღებმა წაართვეს მთლათ ეს ფული და მიიმალნენ.

— დონის-როსტოვი. საპყრობილიდგან გაიქცა 30 ტუსაღი, რომელთაც მოჰკლეს ციხის ზედამხედველი და წაართვეს რევოლვერები. ოთხი იმათგან დაჭერილია.

— „ლამპრის" რედაქტორი კ. თავართქილაძე, რომელიც „ლამპრის" დაკეტვის დროს დაატუსაღეს, გუშინ გაანთავისუფლეს

გამოვიდა ახალი გაზ. „სიმართლე"

— 3 ივლისს დილით ბაღდადის გზაზე ყაჩაღებმა გაძარცვეს ორი დილეჟანსი 30 მგზავრით. წაიღეს 2 ათასი მანეთი და მიიმალნენ. ამდღესვე რკ. გზის ჟანდარმერიამ დაიჭირა ერთი ტომარი „ვსტან სპიაშჩის" გამოცემისა და გადასცა საგუბერნიო ჟანდარმერიას, რომელმაც ვერ იპოვა ის აკრძალულ გამოცემათა სიაში და ჩააბარა კოლხიდის გამგეს.

სარაჯევის მუშების კავშირი გამარჯვებით გათავდა. გუშინ უკვე დაიწყეს მუშაობა. მოიგეს ყველა მოთხოვნა, სხვათა შორის მომატებათ ჯამაგირზე 25 პროცენტი 20 ივნისიდან. როგორც ოთხის ქუჩაზე მომუშავეთ გუშინვე შეიმალეს პირობა და 20 ივლისიდან ჯამაგირის მომატებაზე უარი უთხრეს. რის თვისაც ხელმეორეთ გაიფიცნენ.

## ახალი მთავრობა და ახალი პროკლამაცია.

სულ რამოდენიმე თვეა რაც გამოვიდნენ გაზეთები „ლამპარი" და „მუშა" და თავიანთი ძალ-ღონეს ერთ მეორის ლანძღვა გინებაში ლევენ. (მთავარი მიზანი მთლათ ავიწყ-

დება, მგონია ორივეს საბექდავი მასალა შამოლევიათ და მიუმართავთ ამ ნაირი „ხრიკისათვის“ რომ მუშ-ტრები შეიქციონ ცოტა ხანს და მერმე დაკეტაც მოუსწრებს და განთავისუფლდებიან. გამანათლებელი გაზეთებიც ასეთი უნდა იყოს, რომ მკითხველები შეაჩვიონ გარყვნილობას და ლანძღვა გინებას. დღეს სიმართლის თქმა ყველას სწყინს საზოგადოთ, მაგრამ მით უმეტესათ ჩვენს „ლამპრისტებს“. სიმართლის თქმას „ლამპრისტები“ გაუწიწმატებია და გაიძახიან როგორ გაბედეს ანარქისტებმა სიმართლის თქმა და ჩვენი საიდუმლობაზედ და მოქმედობაზედ ფარდის ახდაო (როდემდის უნდა დაეფარათ). ჩვენ „ლამპრისტები“ ვართ მარტო მუშები, ქვეყნების, ამშენებლებიო; რომ ანარქისტებმა თავიანთი გაზეთს ჩვენი სახელი დაარქვან იმის ნებას არ მივსცემთო (მუქარებიანი ბრძანებებიც გამოვიდა). და ამ ნაირათ „ლამპრისტებს“ თავიანთი თავი მარტო წამოუყენებია მუშათ და სურთ ეს სახელი სხვას არ დაანებონ; მაგრამ ერთი უნდა გკითხოთ თვითმპყრობელნო „ლამპრისტებო“ ნუ თუ ქვეყანაზე მოიპოვება ისეთი სულდგმული, რომელიც თავისთავად მუშა არ იყოს? ყოველნაირი სულდგმული ხომ მოძრაობს, მუშაობს; ისრე ცხოვრება შეუძლებელია და რაზე გავიწყდებათ ეს თქვენ „ლამპრისტებო“ რომ თუ ვინმე ცოცხლობს ის მოძრაობს; და ამ მოძრაობას მოქმენდობას თავისთავად საზოგადოთ მუშაობა ეწოდება და რაზე ცდილობთ საზოგადო სახელის მისაკუთრებას, მ გრამ ესეც თქვენი გაუგებრობაა, ჩადიხართ მას, რასაც სხვას (მთავრობას) უწუნებს. თუ მართლა თვითმპყრობელობა არ გინდათ და ხალხზე გაბატონება ისე, როგორც ეხლანდელი მთავრობა, რაზე უხვევთ გვერდს თქვენ მიერ წამოყენებულ პროგრამას; ხომ მოითხოვეთ საზოგადოთ თავისუფლება კრებისა, კავშირისა, სინიდისისა, სარწმუნოების ა, სიტყ,ისა და სხვა (თუ მარტო თქვენთვის მო თხოვეთ და არა საზოგადოებისათვის); ხომ გამოაცხადეთ ეხლანდელი თვითმპყრობელობის უვარგისობა; ხომ თვალებში ჩხირი ჩაურჭეთ ეხლანდელი მთავრობას მისი ვერაგული მოქმედობისათვის და თვით-გავლენილობისათვის, ხომ არც ერთი სიმართლეს მოკლებული არ იყოს. მაგრამ მიუხედავათ სიმართლის თქმისა მთავრობა მაინც გაწიწმატდა, როგორც დღეს თქვენ (დედაჩემი კუდიანიაო აბა ვინ იტყვის]. და ნაცვლათ შესმენისა და გასწორებისა თავისი ძალა ვითომ გაორკეცა. ისრე დღეს „ლამპრისტები“ ჩადიან. როცა ანარქისტებმა სიმართლე გამოაშკარავეს და „ლამპრისტების“ საქციელს საზოგადოთ ფარდა ახადეს, გაწიწმატდნენ, მაშინ როდესაც სულაც გული არ უნდა მოსვლოდათ სიმართლის თქმისათვის, ვისაც რა შეშვ ნის ს. დემოკრატიას, მაგრამ ამნაირებზედაა ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზაც „თუ პილპილი არ გიჭამია პირი რად გეწვისო“ და მიმართეს ყოველივე ღონე საშუ ებას გაზეთ „მუშის“ ჩასალაგაავათ გასამარჯვებლათ და გასაბატონებლათ ხალხზე თავიანთი თავისა. ნუ იტყვით თურმე ის ვინც სხვის თვალში ნაფოტს შეამჩნევს თავის თვალში ჯირკსაც ვერ დაინახავს და თუ ვინმემ დაინახა და მიუთითა შესწორებაზე მისთვისაც წყრება და თავს არ უტყდება. ასე ემართება „ლამპრისტებსაც“. სხვებს ყოველივე ნაკლულოვანებაზე უთითებენ საფლავს უთხრიან და თავიანთი თავზე არავითარი ნაკლულოვანების არა ღებულობენ და თუ თითით უჩვენეთ მაზედაც წყრებიან მაგრამ ეს ხომ ბიუროკრატიული ჩვეულებაა და გასაკვირალიც არარაობას არც ლამპარისტები აცილდნენ. სასაც ლოა მათი ბავშური საქციელი.

ქუთაისში გამლელ გამომლელს ყურები დაყრუებული აქვს მეგაზეთების მიერ გაზეთების სახელების ყვირილით მაგრამ გაზეთ „მუშის“ სახელს ვერ გავიგონებთ და თუ სადმე ძვირათ შევხვდით,—ჩაგჩურჩულებს გაზეთი „მუშა“ ხომ არ გინდაო. და როცა შევეკითხე ერთი მათგანი გაზეთის დამტარებელ ბავშს რატომ სხვა სახელებივით „მუშას“ ხმა მაღლა არ ყვირი მეთქი, მიპასუხა: პოლიცია (ლამპრისტები) მიკრძალავენო. როგორც სჩანს დღეს გაზეთი „მუშა“ გამხდარა პროკლამაცია რომელიც თავზარსა სცემს „ლაპრისტებ“ და გასაკვირველიც არაა რომ სდევნიდნენ, ეს ბუხების კანონია სიმართლეს ნუდამ სდევნიან, მაგრამ ბოლოს გამარჯვება მაინც სიმართლისკენაა. ნუ თუ მკითხველო ამ ნაირათ მოქმედების შემდეგ „ლამპრისტები“ რამეს დასწუნებენ მთავრობას? არაფერს, მთავრობა არ ჩადის იმაზე მეტსა თავისუფლების წინ მდ გ, რასაც ჩვენი „ლამპრისტები“ რომელ თაც ნამდვილ სოცი ლ ც ემოკრატ ას ჩირქ ა ცხებენ. და თუ მართლა კიდევ მთავრობის საქციელი არ მოსწონთ „ლამპრისტებს“ თავიანთი კი, ეს მით უმეტეს მათი ორივე თვალებით დაბრმავების ნიშანია.

ავთანდილი.

---

## † შიო ჩიტაძე.

გუშინ სამშაბათს 4 ... სალამოს 8 საათზედ ქალაქში ... რცელ და გულშემზარავი ამბავი ... თავად-აზნაურო გიმნაზიის ... ტორი შიო ალექსის ძე ... ძე მსხვერპლათ შეიქმნა ... სულ ძალმომრეობისა.

სალამოს 7-ნახევარ საათზე ... დიდის ქუჩაზე, სადაც სათავად ... რო გიმნაზია მოთავსებული ... ესროლეს სახლიდან მომავალ ... ლისის პოლიცმეისტერს შ... მისტრს მარტინოვს, რომელიც ... მედ დაიჭრა.

ყუმბარის გავარდნაზე მყის ... მოჩნდენ სამხედრო ... შეცვივდნენ გიმნაზიის შენობა... ვისაც მოასწრეს ზოგი ... ზოგი დასჭრეს ზოგი ისე ... კონდახებით რომ სიკვდილის ... არიან... სხვათა შორის ... შიო ჩიტაძე!

შიო ჩიტაძე იქნებოდა ასე ... 38 წლის კაცი, ჯანლონით ... სიცოცხლით ალსავე იგი პატარა... სას სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, მერე გადმოვიდა თფილისის მეორე გიმნაზიაში, საოქროს მენდლით დაამთავრა ... აქედან კიევის უნივერსიტეტში ... ვიდა რომელიც საუცხოოდ დაამთავრა ... ლა და იმავე დროს ვაჟების ... ქალების გიმნაზიის მასწავლებლად დაინიშნა.

კიევში იგი მალე ჩაერია პროგრე... სიულ ჯგუფში და მხურვალე მონ... ლეობას იღებდა პროგრე იულ ... გამოშვებით გამოცემებში.

შარშან გიმნაზიის გამგეობამ ... მოიწვია შიო გიმნაზიის გამგე... ამ ახალ თანამდებობაზე მან საო... რი უნარი და ზნეობრივი ძალა გა...

---

# ფელეტონი

**ვუძღვნი გაზეთ „მუშას“.**

**მუშა დურმიშხანა.**

როცა ზურგით ტვირთ წაიღებს
ქუჩის მუშა დურმიშხანა,
მით თვის ოფლის ფულს რო იღებს
ასე მღერის ხან და ხანა.

კურტნის მუშა ვარ ქალაქში
ღმერთმა მომცა ჯანი ღონე,
ჩემ ტოლ ბიჭებს გლეხ კაცებში
მეც კაცი ვარ თავ მომწონე.

კურტნით ვცხოვრობ ქვეყანაზე
მით ოფლს ვებრძვი შეუპოვრათ,
ტვირთი დამაქვს დიდ მანძილზე
აბაზად და ორშაურად.

შენ, მდიდ რო მე ნუ მწუნობ
რომ შენი ქვეყნის ყარიბი ვარ,
შენსავით არ ვმაიმუნობ,
და არც სულით ღარიბი ვარ

შენ სულ მუდამ დარდით ქშინამ
ქანც გაწყვეტილ ილაჯითა
მე კი ქოხში ტკბილათ მძინამ
ჩემის ძველის ფარაჯ თა.

შენ ყოველ დღე იტანჯები
უსაქმო განცხრომაშია
მე კი საქმით ვისარჯები
მუშის ძალა შრომაშია

არც გაკოტრების მაქ შიში
ვითა შენი ცრუ ვაჭრობის დუქანი
ღმერთმა მოგცეს ძალა მუხლში
დალოცოს ჩემი კურტანი.

რომ არვის არ გამოვწირო
არც სხვის ცოდო ავიკიდო,
მხოლოდ ჩემ ოფლს ვემსახურო
და ჩემ კურტნით ტვირთი ვზიდო.

მამაჩემიც ტვირთსა ზიდდა
არც თუ მას ჰქონდა დუქანი
როცა სიცოცხლე მოსწყინდა.
მიანდერძა თვის კურტანი.

და მეც სწორედ იმ წამიდგან
მუშათ ყოფნა მიკარნახა.
და თან მტკიცედ საფლავიდგან
ეს სიტყვები ამომძახა.

ზიზღი მუშის ოფლის მყიდველთ
ხალხის მყვლეფავ უქმ პირქუშებს
გაუმარჯოს ტვირთის მზიდველთ
ქვეყნის მკვებავ მშრომელ მუშებს.

გ. ჩარხიშვილი.

---

**მოკლე სისტემა ანარქიზმისა.**

(ე. მალატესტასი).

(გაგრძელება.)

**საუბარი მეხუთე.**

**გეორგ.** ბატონო მოსამართლენო! თუ არ ვსცდები, ჩვენ შევჩერდ თ საკუთრების უფლებათა საკითხზე.

**ამბროუაზ.** სრული სიმართლეა. ჩვენთვისაც საინტერესოა თუ როგორ დაიცავთ სიმართლის და ზნეობის მიხედვით, თქვენ ძალადობის და ძარცვა-გლეჯის იდეებს. საზოგადოება, რომელშიაც არავინ დარწმუნებული არ არის თავის ქონებათა ხელ-შეუხებლობაზე, საზოგადოება კი არა მგელთა ხროვაა, რომ ყოველთვის სხვისი დამზადებული შთანთქას.

**გეორგ.** მაშ თქვენ არ ხედავთ რომ ამ მდგომარეობაში იმყოფება ის საზოგადოება, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით? ჩვენ ბრალს გვდებ ძალადობის და ძარცვა-გლეჯისა მისწრაფებაში, მაგრამ საქმით კი საკუთრებათა მფლობელნი ყოველთვის ყვლეფენ მუშებს და სარგებლობენ მათი შრომის ნაყოფებით.

**ამბროუაზ.** საკუთრებათა მფლობელნი თავის ქონებას ისე განაგებენ, და სარგებლობენ როგორც მათ სურთ. იმათაც აქვს უფლება, ისე როგორც მუშებს თავისუფლათ მოიხმარონ და განაგონ თავისივე ქონება თავისივე ხელებით. პატრონები და მუშები თავისუფლად ... ხმდებიან სამუშაო ხელ-ფასზე, ... ეს შეთანხმება არა იძულებით ... ბა, არამედ ნება-ყოფლობით. ... ირ ქველმოქმედებას შეუძლია ... დურების და ტანჯვა-ვაების ... ბუქება, მხოლოდ უფლება კი ... იქმნეს ხელ-შეუხებელი.

**გეორგ.** ეჰ! რას მელაპარაკ... თქვენ თავისუფალ შეთანხმებაზე ... მუშამ უნდა იმუშაოს რომ ... ლით არ მოკვდეს. მისი თავისუ... ფლებაა — იმ მგზავრის თავისუფ... ლება, რომელსაც გზაზე ყაჩაღები თავს დაესხმიან და ის მისთავა... თვის ქისას სიცოცხლის შესარჩენ...

**ამბროუაზ.** ეს შესაძლებელია ... გრამ, თქვენ არ შეგიძლიათ ამ ... ზეზებით ჩამოართვათ თავის ქონე... თა გამგეობის უფლება საკუთრებ... მფლობელებს.

**გეორგ.** კარგი მაგრამ რა საბუ... ბით, ამტკიცებს კაპიტალისტი ... საწარმოო იარაღი და სხვა სიმ... დრე კაცობრიობის საერთო ძალ... ღონით შექმნილი, ეკუთვნის მას

**ამბროუაზ.** კანონი ანიჭებს მას უფლებას.

**გეორგ** ჰო! თუ ყველა კით... კანონზეა დამოკიდებული, მაშ ...

ძინა. დაინახა რა რომ გიმნაზიის საქმეები ძალზე აწეწილი იყო, იგი მაშინვე შეუდგა ავტონომიური უფლებების დაფუძნებას გიმნაზიაში და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კიდეც მიაღწია თავის საგანს. ამ მოკლე შენიშვნაში შეუძლებელია შიო ჩიტაძის შემოქმედებითი ნიჭისა და ენერგიის აღნიშვნა... იგი ახლო მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივ პროგრესიულ ქართულ-რუსულ პრესაში.

შიო ჩიტაძე ძრიელ განვითარებული და გამეცნიერებული კაცი იყო და თავის მიმართულებით და პოლიტიკური credo თი იგი ეკუთვნოდა უკიდურესს ინდივიდუალისტს.

ასე ულმობელად ასე უგნურად გამოასალმეს წუთი სოფელს ბნელმა ძალებმა თავის ამხანაგებს, მეგობრებს და დაობლებულ წვრილშვილს (განსვენებულს სამი მცირე წლოვანი შვილი დარჩა) იშვიათი კაცი! იშვიათი მოამაგე ქვეყნისა.

მეტად ძნელია ამხანაგის დაკარგვა, მეტადრე ნიჭიერისა და მოქმედი კაცისა, ხოლო ჩვენ დუხჭირობის კი როცა კაცებისა და ადამიანების მგიერ რაოდენი კაცუნიები ცოცხალმკვდრები ხოხიალობენ, მისთანა ამხანაგის დაკარგვა ერთი ათად ერთი ასად უფრო გულსაწყვეტია და დამაღონებელი...

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ტკბილო, პატიოსანო და სულ მნათო მოღვაწე ამხანაგო!

## ღია წერილი რედაქციის მიმართ.

(შეგნებულ ხელოსანთ საყურადღებოდ.)

უმაწვილი ვიყავი და აგერა ოქვენში, დავბერდი და ყოველთვის ჩვენს უცოდინარობას შევჩიოდი ქვეყანას, შველას და დახმარებას ვთხოვდი რომ ბედნიერ დღეს ბედნიერი სწავლა-ცოდნით აღჭურვილნი მაგნებულოდით მივაღწევთ ჩვენს საგანს თუ არა ეს უნდა ეკითხოს ჩვენს ბელადებს ს. დ. პარტიისას, რომელნიც დიდსა და პატარას აჯერებენ მეცნიერებაში, მაგრამ ჩვენ რომ ნამოგვძახიან ჩვენს მეცნიერებას რითი დავიმსახურეთ ასეთი სახელი, ნუ თუ იმითი რომ ნახევარ მილიონ მუშა ხალხში ორი სადეპუტატო კაცი ვერ ვიპოვეთ დუმაში გასაგზავნით და ჟორდანიასა და რამიშვილის კალთებს ლოკავდით. ჩაუხედნიათ კი ჩვენს გულში, იციან რა გვესაჭიროება და რა არა? როგორც მე ჩინეთის მუშის გაჭირვება დახსნებისა არა ვიცი რა ისე იმათ ჩვენი, მაგრამ მეტი რა ღონე იყო სხვისთვის უნდა მიგვენდო ჩვენი ბედიღბალი. წარმოიდგინეთ ერთად ერთი გაზეთი „მუშა“ გამოვიდა რომელმაც ფარდა ახადა სოციალდემოკრატების უგვანო მოქმედებას და ყველაფერი აშკარად დაგვანახვა და ჩვენ კი იმის მაგივრათ რომ კრიტიკულად შეგვეხედნა საქმისათვის, აგვეწონ-დაგვეწონა და მადლობა გადაგვეხადნა, სამაგიეროდ ლანძღვა-გინებით მივუგეთ განა ამის შემდეგ ნება აქვს ვისმე სთქვას ჩვენებური მუშა განვითარებულიაო; ჩვენებური მუშა ქვევრია, რასაც ჩასძახებ იმასვე ამოგძახებს და თუ საქმეზედ მიდგა ქუჩის ბარიკადსაც გამოიყენებ. მე დღემდისაც და დღესაც ყველას იმას გთხოვ ჩვენის უვიცობით ნურავინ ისარგებლებს, ჯერ გვასწავლონ და მერე მოგვიხმარონ ამიტომ ვთხოვ ყველა პარტიის წარმომადგენელთ თავიანთი პროგრამა გამოსცენ პატარ პატარა წიგნაკებათ, დაარიგონ ხალხში აუხსნან და შეასწავლონ მუხლი მუხლით ამის ამ ტომ ვამბობ რომ დიდი და პატარა გაიძახის მე სოციალდემოკრატი ვარ, მე ფედერალისტი, მე რევოლიუციონერი ან ანარქისტიო და არც ერთის პროგრამაში კი არ ჩაუხედნია. ჯერ მიეცით და მერე მოსთხოვეთ. ამით ვათავებ და ვსთხოვ „მუშის“ რედაქციას დრო-დროთი დაუთმოს ხოლმე ხელოსანთა ნაწერებს ადგილი *).

ერთი ხელოსანთაგანი ს. ბერძნიშვილი.

# რუსეთი

პოლიციის დეპარტამენტმა ცირკულიარიდ აუწყო თავის აგენტებს კავკასიაში, რომ მუსულმანთა ფრაქციის მიერ დადგენილებამ, რომ გამოუცხადონ პროტესტი, კავკასიის მთიელების დაქირავების გამო დარაჯებად, და იმათმა გადაწყვეტილებამ რომ მიმართონ მთიულებს არ შევიდნენ სამსახურში დარაჯად. მოწერილია აგენტებთან, რომ ყოველივე ღონე იღონეთ, არ გავრცელდეს მოწოდებანი მთიულთა შორის ცირკულ არი დაწერილია 23 ივნის. (მისლ).

ორიენბაუმში უკანასკნელ ხანებში ვრცელდება პროკლამაციები „სცემეთ ებრაელებთ“. ხალხი ძლიერ შეშფოთებულია. (მისლ).

ცნობილმა უშაკოვმა დაჰკარგა გავლენა მუშებში, ამ დღეებში, თავის „შტაბში“ სახელმწიფო ქაღალდების მომამზადებელ ექსპედიციაში, მივიდა მუშებთან და სთხოვა რომ არ მიეღოთ მონაწილეობა დემონსტრაციაში, წითელი დროშებით, ამის პასუხათ მუშებმა მისტყიპეს (მისლ).

„რუსკოი ვედომოსტში“ დაბეჭდილია რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სტოლიპინმა გაუგზავნა ტელეგრამები გუბერნატორებს, რომ შეაყენონ გლეხების გადასახლება. (ნ. ჟ.)

გენერალ ტრეპოვს შეუჩივლია „Daily telegrah“-ის კორესპონდენტისათვის, რუსეთში არ არის ერთი გაზეთი მაინცაო, რომ დაიცვას მთავრობაო.

26 ივნის ს ღამოზე პეტერბურგის მეორე ვიბორგის პოლიციის ნაწილის გაიფიცნენ 30 პოლიციელი. მოთხოვნილობა მხოლოდ ერთია რომ დაუყონებლივ დაითხოვონ დროებით აღმასრულებელი ბოქაულის თანამდებობისა. (მისლ).

კონსტანტინოგრადის მაზრაში პოლტავის გუბერნიაში, აგრარიული მოძრაობა ძლიერ ვრცელდება, მეტადრე სოფელ კოზლოვკაში, ნიკოლაევკაში, და ბრანოვკაში. იქ გლეხებმა აიკლეს ყველაფერი, ეკონომიები და სამიწადმოქმედო იარაღები, გაგზავნილია ყაზახები. (პოლტავშჩინა)

ორენბურგში ყაზახებთა შორის, ძლიერ დადის ხმები, რომ ისინი დაითხოვეენ სახლში. იმათ აპირებენ ხელმეორედ მიმართონ გუბერნატორს. (სტრანა).

სამხედრო სასამართლომ 6 სალდათს გადაუწყვიტა კატორგა. რადგანაც იმათ პროტესტი განაცხადეს, იმ ძალმომრეობაზე რომელიც სუფევს მხედრობაში. ახა-

*) რედაქცია შეუცვლელად ბეჭდავს ამ წერილს, რადგანაც ჩვენ გაზეთში დათმობილი აქვს ადგილი მუშის ნამდვილ გულის ნადებს.

---

ჩარს შეუძლია დამტკიცება იმის, რომ, მას უფლება აქვს საზიზღარი მკვლელობის და ძარცვა-გლეჯისა. მას უნდა მოიყვანოს რამდენიმე კანონების სტატია, რომელიც მიანიჭებს მას ამ უფლებას. სახელდობ ამნაირათ ექცევიან გაბატონებული კლასები: მათი კანონები ან ამაგრებენ მტაცებლობის უფლებას, ან იძლევიან უწყურ საშუალებას ახალის შესასრულებლად. თუ თქვენი ყველა „მაღალი პრინციპები“ დამყარებულია მხოლოდ კანონთა თავისუფლებაზე, მაშ შეიძლება რომ ხვალ კერძო საკუთრებათა შემცვლის კანონები გამოვაქვეყნოთ. მაგრამ თქვენ სცნობთ „მაღალ პრინციპათ“ იმას, რასაც თქვენვე უწოდებთ ძარცვა — გლეჯას და ქურდობას.

**ამბრუაზ.** კანონი კი არ უნდა იყოს თავ-აშვებული. არამედ უნდა ეთანხმებოდეს ზნეობის და უფლების პრინციპებს, და არა გადმომდინარეობდეს თავ-ხედებისაგან, სხვაფრივ...

**გეორგ.** არა კანონი ქმნის უფლებას, არამედ კანონი გადმომდინარეობს უფლებისაგან. ამ შემთხვევაში რა უფლებით უზრუნველყოფს კანონი რამდენიმე პირს, განაგოს მთელი არსებული ბუნებისაგან და შრომით შექმნილი სიმდიდრე ჩაიგდოს ხელში და განაგოს ყველასი სვებედი?

**ამბრუაზ.** იმ უფლებით, რომ ისარგებლოს თავისი შრომის ნაყოფით და განაგოს თავისი ქონება, ადამიანს დაბადებიდან ჩანერგული აქვს ამ ნაირი გრძნობა, და უამისოთ წარმოუდგენელია ვერავითარი ცივილიზაცია.

**გეორგ.** როგორ! თქვენ თითქმის მშრომელთა უფლებას იცავთ! ვაშა! მაგრამ ამიხსენით რომ რატომ ის, ვინც დღიან ღამიანათ შრომის უღელში აბმული, ის არაფრის მფლობელია და ვინც არაფერს არაკეთებს ის საკუთრების მფლობელია? რომ მესაკუთრენი მძარცველებია, ეს თქვენი თეორიის ლოგიკურ დასკვნიდამ სჩანს? სრულებით სამართლიანი არ არის თუ მათ სიმდიდრე ჩამოერთმევათ და გარდაეცემათ კანონიერ მშრომელთა რიცხვს?

**ამ რუაზ.** თუ არიან მესაკუთრენი ისინი ვინც არ შრომობენ ეხლა ეს იმიტომ რომ ისინი უწინ შრომობდნენ და უფრთხილდებოდნენ მამა პაპათგან სამკვიდროთ დატოვებულ ქონებას და შესძლეს მათი წარმოება და გაფართოება.

**გეორგ.** როგორ! მუშა რომელიც დღე და ღამეს ასწორებს და თავს ძლივს ძლიობით ირჩენს მან შეაგროვოს სიმდიდრე?

თქვენც კარგად იცით, რომ ნამდვილი დაუშრეტელი წყარო სიმდიდრის წარმოშობისა არიან ძალადობა, ქურდობა და კანონიერი და უკანონო მტაცებლობა. მაგრამ ვსთქვათ რომ თუნდ ვინმე ადამიანთა იხმარა ეკონომია თავის ნაშრომისაგან სრული ჭეშმარიტებაა თუ ის სარგებლობს ამ ეკონომიით, როდესაც მას ჰსურს. მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ იცვლება, მაშინ, როდესაც ეხმარობთ „ეკონომიას“ ეს იმას ნიშნავს რომ სხვები უნდა ამუშაო და მათ წაართვა შრომის რეზულტატის ნაწილი, იყიდო საქონელი და გაყიდო ზედმეტ ფასათ. ხელოვნურად შიმშილი შეჰქმნა და ზედ ჩარჩობა გასწია... სხვის თავისუფალ შრომისა საშუალების წართმევას და იძულებას უკანასკნელ მცირე სასყიდლისათვის იმუშაონ. ეს ნიშნავს კიდევ სხვა მაგნაირ საგნებს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სიმართლესთან. მხოლოდ რომლებიც დაჟინებით ამტკიცებენ რომ საუთრება როდესაც არ არის ცხადი ქურდობის რეზულტატი აღმოცენებული სხვისა შრომისაგან ასე თუ ისე თავიანთ სასარგებლოთ. თქვენ გგონიათ რომ თუ ადამიანმა თავისი შრომით ან გამჭრიახობით შეაგროვა მცირე კაპიტალი, ამით ის შეიძლებს სხვისი შრომის ნაყოფით სარგებლობას, სხვისი შრომით სარგებლობის უფლებას?

ნუ თუ თქვენ სცნობთ სიმართლეთ რომ უმეტეს ნაწილს კაცობრიობისას მისჯილი აქვს გაჭირვებაში ყოფნა, იმიტომ რამდენიმე შრომის მოყვარე ადამიანებმა, შეაგროვეს კაპიტალი? ინებავთ მე მოგიყვებით თქვენ ჩვენი ცნობილი მილიონერების სიმდიდრის წარმოშობის შესახებ, ძველ დროთაგან დამკვიდრებული დღემდის?

**ამბრუაზ.** არა ჩემო კარგო, ნუ შეეხებით პიროვნებას. თუ არსებობენ უსამართლოთ შეძენილი სიმდიდრე, ეს არაა იმის მიზეზი, რომ საკუთრების უფლებანი უარჰყო. წასული ხომ წასულია, არაა საჭირო უსამართლობის სათავის ძებნა.

ბადის გარნიზონმა გადაწყვიტა ძალით განათავისუფლოს.

წარმოადგინეს 33 მოთხოვნილება, ლაგირიდან დაიძრენ ქალაქში ბატალიონის და წითელი დროშებითდა რევოლიუციონური სიმღერებით. (ასხაბადი).

—

27 ივნისს ნოვო-ადმირალტეისკის ქარხანაში მიტინგი გაიმართა. მიტინგზე 3000 მუშა მოგროვდა, რომლებმაც გამოიტანეს რეზოლიუცია რომ მხარე დაუჭირონ სახელმწიფო სათათბიროს. მერე მუშები რევოლიუციონური სიმღერებით წითელი დროშებით გამოვიდნენ ქარხნიდან და გავიდნენ ინგლისის პროსპექტზე. გასულმა ყაზახებმა დაინახეს თუ არა მუშების გულადობა მიანებეს მათ თავი.

—

27 ივნისს ლესნოის ახლოს შესდგა მიტინგი 4000 კაცისა სხვათა შორის იყვნენ წევრები სახელმწიფო სათათბიროსი.

ამ კრებაზე დაადგინეს რეზოლიუცია მხარი დაუჭირონ მშრომელთა ჯგუფს სახელმწიფო სათათბიროსი. პოლიციის კვალი არ ჩანდა და მიტინგმა მშვიდობიანათ ჩაიარა.

---

# კორესპონდენცია

—

**დიდი-ჯიხაიში** აქაურ ინტელეგენტების საყურადღებოთ:

მართალი უნდა გითხრათ ძლიერ გულ-გრილათ ეკიდებით ყოველივე საზოგადო საქმეს. რაც ჩემი აზრით არ მიგეტოვებათ, არ კმარა მარტო ნარდ-კარტის თამაში და ქეიფობა, საჭიროა ღრმათ ჩაუკვირდეთ თანამედროვე ცხოვრებას და შეძლების დაგვარათ დახმარება გაუწიოთ. ნუ თუ ვერ ამჩნევთ რომ დღეს ვისაც ოდნავათაც კი უღვივა გულში განახლებისადმი მისწრაფება გულ ხელ დაკრეფილი არ ზის თქვენ კი ნასწავლნი ინტელეგენციავ განათლება ჯიბეში გყავთ ჩამწყვდეული და რაღაც ღრმა მიზეზების გამო არ გსურთ სინათლეზე გამოაფინოთ. მიიხედ მოიხედთ გარშემო და თუ სხვა არა სამკითხველო მაინც მოგხვდებათ თვალში რომელიც აგერ ექვსი თვეა დაკეტილია. დამეთანხმებით რომ ერთად ერთი კულტურულ დაწესებულება, რომელსაც შეუძლია გონებრივი საზრდო მიაწოდეს ხალხს, სამკითხველოა. თქვენი პირდაპირი მოვალეობა ამ სასარგებლო დაწესებულებას არსებობის წყარო გამოუძებნოთ, ჯერ ჯერობით კი ამაზე ძლიერ ნაკლებათ ზრუნავთ, რაც დიდათ სამწუხაროა. მით უმეტეს რაც თითქმის ყველა თქვენთაგან ხალხისთვის თავდადებულ გმირებათ მოაქვს თავი. გახსენეთ სიტყვა, რათ რეებს გვპირდებოდით. მაგალითად დავასახელებთ ბ-ნს ბეითაროს მოწაფეების და მასთან სტუდენტობის დროსაც სამკითხველოს ხშირი სტუმარი იყო, ოცნებობდა საზოგადო საქმეზე განსაკუთრებით კი სამკითხველოს აყვავებას გვპირდებოდა. მას მერე რაც მაზრის ბეითლობა ჩაიბარა არა თუ სამკითხველოს არ წყალობს არამედ ყოველივე საზოგადო საქმეს სოფლებში ისე გაურბის როგორც ღამურა სინათლეს. ოცი რიცხვი სათაყვანებლათ გაუხდია და მის გარეშე არაფერი არ სწამს. დასასრულ გირჩევთ ინტელეგენტებო იმუშაოთ საზოგადო საქმისთვის, თავი დაანებოთ გარეშე პარტიების ლანძღვა გინებას და მათზე ცრუ აზრების გავრცელებას ნუ ამახინჯებთ ჭეშმარიტებას. თორემ მალე სიმართლის მზე ამოაშუქებს და ხალხის რისხვას ვერ აცდებით.

სტუმარი.

—

P. S. ერთ ინტელეგენტს იმისთანა გაზვიადებული თავმოყვარეობა აქ რომ მუშას ეტლში გვერდში არ იჯენს, მაგრამ ვაებატონზე დაწერილებით შემდეგ იქნება.

სტუმარი.

---

**გეორგ.** კარგი ნუ მოვძებნით, ჩემთვის არ არის საინტერესო; მხოლოდ, კერძო საკუთრება არ უნდა იყოს რადგან ის საშუალებაა ერთი მეორეს გაყვლეფისა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მფლობელთა ან მის წინაპართა შრომის რეზულტატია?

**ამბრუაზ.** ადვილად, დაუმუშავებელ უნაყოფო მიწას არაფერი ფასი არა აქვს. ადამიანი ამუშავებს მას, ანოყიერებს, და აქცევს ნაყოფიერად. და მაშასადამე აქვს უფლება ამ ნაყოფებზე, რომლებიც უშრომლად არ იქნებოდნენ.

**გეორგ.** ძალიან კარგი; ეს არის მუშის უფლება ნაყოფზე; მაგრამ ეს უფლება იკარგება, მიწის დამუშავების შეჩერებისთანავე. ეს ხომ ასეა? და თქვენ კი ამართლებთ მემამულეებს, რომელსაც თუნდ სხვის დახმარებით რომ არაფერი დაუმუშავებია? როგორ აიხსნება ის რომ ხელუხლებელი მიწები, რამდენიმე პირთ ეკუთვნიან და არა ყველას?

როგორია ეს შრომა როგორ გაუმჯობესობას გვაძლევენ მაგნაირ შემთხვევებში საკუთრების უფლება?

წარმოშობა კერძო მფლობელობისა, ისე როგორც სხვა სიმდიდრისა დამყარებულია ძალადობაზე; ეს ჭეშმარიტებაა ამის ახსნა შეიძლება მაგნაირათ რომ უფლება—ძალაა; და ამ შემთხვევაში ვაი თქვენ თუ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდით სრულებით ულონო.

**ამბრუაზ.** საკუთრების უუფლებოთ არ შეიძლებოდა ყოფილიყო უზრუნველყოფა, და საზოგადოება წარმოადგენდა რაღაც ჰაოსს.

**გეორგ.** მაშ თქვენ ლაპარაკობთ საზოგადოებათა სარგებლობაზე? მე ჩემს პირველ საუბრებში ვამბობდი, იმ ბოროტებაზე, რომელიც გადმომდინარეობს კერძო საკუთრებიდგან; თქვენ კი ვერ შესძელით იმის სარგებლობის დამტკიცება, და მიჰყევით ხელი მაღალ პრინციპთა სიმართლეს, რომლებზედაც დამყარებულია საკუთრება.

ეხლა თითქმის გვიანიც არის. შემდეგისთვის.

კოწია ქუბაბრია.

(შემდეგი იქნება)

---

# დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ.)

—

**კიევი.** ვასილიევის მაზრაში, სოფელ რუდიკოვში, გლეხების მოძრაობის გამო, მიიჯარადრე გასწორებელ განყოფილების ტუსაღებს ამუშავებს.

**ვარშავა.** საკანდიტეროს გაფიცულ მუშების სხდომაზე, ერთ საკანდიტეროს უფროს, სიტყვის წარმოთქმის დროს რევოლვერი ესროლეს. დაჭრილია ერთი.

პივნის ქუჩაზე პატრულმა მოჰკლა ვიღაც უცნობი, დასჭრა ერთი

**კოვნა.** სუვალსკი გუბერნიის მამულებში მუშათა მოძრაობა უფრო და უფრო მწვავდება. იქ გაიგზავნა დრაგუნთა ჯარი.

**ტაშკენტი.** დეკემბრის არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის დაჭერილ სალდათების გაგზავნის დროს მუშებ წინ გადაელობენ მატარებელს და არ გაუშვეს. მათ მიეშველნენ საპიორის პოლკის სალდათები. მათ შეხვდნენ მსროლელთა ბატალიონი და კაზაკები. ასტყდა სროლა მოკლულია ერთი და დაჭრილი 17.

**პოლტავა.** დაატუსაღეს ორი ძმა შაიშმელოვები.

**მიტავა** მოჰკლეს სადგურის უფროსი დაუდზეკასი და მედუქნე.

**ლოძი** 45 ფაბრიკაზე გაიფიცა 14,000 მუშა. სენატორის ქუჩაზე დარაჯ ჯარის კაცისაგან მოკლულია დრაგუნის პოლკის უნტეროფიცერი, რომელიც არ დადგა დარაჯის წინადადებაზე. დარაჯმა მიიღო იგი ბოროტ გამძრახველათ.

**მოსკოვი** 5 ივლისი—გაფიცვა მებუტკებისა არ არის საერთო. ზოგან მებუტკები ვაჭრობენ მცველებით ზოგნიც სულ არ მუშაობან მებუდკეების კრება დაიხურა გრადონაჩალნიკის ბრძანებით. ამიტომაც კავშირი მებუტკეებისა არ არის შედგენილი.

**ტომსკი.** 4 ივნისს სუჟენკას სადგურზე, სახალხო მატარებელი დაეჯახა საქონლისას, მკვდარია 12, დაჭრილი 14 კაცი

**კოსტრომა.** ცეცხლის კიდება, ძლიერდება, გადაიწვა 200 სახლი სოფ. კუნიკოვში. კოლოგრივოვის მაზრაში იწვის 16 ადგილას კერძო მესაკუთრეთა ტყეები.

**ელისავეტგრადი.** სატუსაღოში, დარაჯების და ტუსაღების შე[...] კების გამო როდესაც მოიკლა [...] ტუსაღი და ერთიც დაიჭრა, [...] დგა მუშათა მიტინგი დარაჯებ[...] ქცევისთვის პროტესტის გამოსაცხ[...] დებლად.

**კოვნა.** კოვნის მახლობლათ [...] იწყო აგრარული მოძრაობა, მემ[...] მულეებს არ აძლევენ ღალას.

**მოსკოვი.** ვიღაც უცნობებმა [...] ძარცვეს პეტროვის მონასტერი [...] ილეს 30,000 მან. და მიიმალნენ.

**სევასტოპოლი.** — დააპატიმრ[...] მატროსი რომელზედაც ეჭვი მიი[...] ნეს ჩუხნინის მკვლელობაში მონ[...] წილეობაზედ. მთავარი დამნაშ[...] ჩუხნინის მკვლელობაში მეზღვაუ[...] ქიმოვი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე**

---

# განცხადებანი.

რედაქცია სთხოვს ყოველ[...] ამხანაგებს, თანა-მოაზრეთ და იმა[...] ვინც თანაუგრძობს გაზეთის მიმა[...] თულებას, გაუწიოს ენერგიული და[...] ხმარება: ეკონომიური და იდეუ[...] კოოპერაცია გაზეთის გამოცემას ს[...] ქმეს: საღამოების გამართვით, სპ[...] ტაკლების დადგმით, ხელის მოწე[...] გამართვით, და რეფერატებით.

ვსთხოვთ პროვინციებში გაფანტ[...] ხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გა[...] ამვრცელებას, მოგვაწოდონ წერი[...] ლები და კორესპოდენციები.

---

# არდესის გამიდცვლ[...]

ჩვენი აგენტებისა, მკითხველების და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობა[...] თისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ა[...] მინისტრაციის ხელში. ამისათვის ყო[...] ველგვარი წერილები და ფული [...] ვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგ[...] ნტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ[...] წერილზე და აგრეთვე ფულიან კ[...] ნვერტებზე, თუ თუ ფულის გამო[...] გზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა[...] იქმის აღნიშნული: „ნობათისათვის“.

**„მუშის“ რედაქციის, რომე[...] ლიც ამიერიდან „ნობათის“ ა[...] რესიცაა.**

---

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პრო[...] ვინციებში, რომ დაუყოვნებ[...] ლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინა[...] ნდელი ნომრებისა და დროზე მო[...] გვაშველონ მისი ხვედრი ფული, წ[...] ნამდმდეგ შემთხვევაში იძულებულ[...] ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გა[...] ზეთის გზავნა.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგი“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.

# დამატება

# გაზ. „მუშისა“ № 25.

ტფილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ტრაგიკულად მოკლულ ძვირფასის მასწავლებლის და ინსპექტორის

## შიო ალექსის ძეს ჩიტაძის

გარდაცვალებას.

---

**ქართული წარმოდგენა**

ფუნიკულერზე.

**ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანე ფუნიკულერით.**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ ახლად გამართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება

შაბათს, **8** ივლისს

## ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომ. 2 მ. რ. ერისთავისა

დატრიალდა ჯარა

გოდევ. 1 მოქ. უაფუანისა.

—

**კვირას, 9 ივლისს**

მე მინდა კნეინა გავხდე!

კომ. 2 მოქ. ანტონოვისა

## დივერტისმენტი

მონაწილეობას ღებულობენ: გაბუნია-ცაგარლისა, ივანიძე, კიკნაძე. ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, ნ. ერისთავი, იმედაშვილი, საფაროვა და სხ.

**წარმოდგენა დაიწყება 7-ნახევარ საათზე, გათავდება 10-ზე.**

**დაუკრავს გურულების ორკესტრი.**

**ადგილების ფასი ფინიკულერზე ასვლა-ჩამოსვლით 40 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება 1) წერა-კითხვ. წიგნის მაღაზიაში 2) „პროგრესის“ მაღაზიაში ბულვარზე და 3) გიორგი ქორქაძესთან, სიონის ქუჩაზე, ხოლო წარმოდგენის დღეს ფუნიკულერის კასასთან.

**საჭმელ-სასმელების ფასი ერთიორად დაკლებულია.**

წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე და ვ. გუნია.

---

**პოლიტიკური უფლებები** *).

(დასასრული *)

პ. კროპოტკინიდან.

პარიჟის ქუჩებზე დღეს ალარავის სცემენ, როგორც ეს ხდება ოდესაში, მხოლოდ იმიტომ, რომ იქაური მცხოვრებნი ამას ვერ დასთმობენ და მაშინვე მთლად აიკლებენ ამის ჩამდენთ მტარვალებს. არისტოკრატები არ იკლავენ თავიანთ გზას რტყმევით, რომლებსაც გულუხვად არიგებენ ლაქიები, მხოლოთ იმიტომ, რომ ის ახირებული ლაქიები, რომელნიც მას ცემენ თავიანთ თავს ნებას ამ გვარ რამეში, მაშინვე მოკლულნი იქნებიან. ცნობილი თანასწორობა ეხლა გამეფებული ქუჩებზე და საზოგადოებრივ ადგილებში მუშებს და ბატონხაზეინებს შორის, წარმავალ რევოლიუციის მეოხებით, მუშის საკუთარ ღირსების გრძნობა არ დადუმდება ხაზეინისაგან შეურაცყოფისათვის. დაწერილი კანონები აქ არაფერ შუაშია.

თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია ორ ნაწილად: მონობა და ბატონობა, არ შეიძლება იარსებოს ნამდვილმა თავისუფლებამ; იმაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იქნობამდეს, რომდემდესაც იქნებიან ექსპლოატატორები, ე. ი. მჩაგვრელები და ჩაგრულები, მმართველნი და შევრდომნი. აქედან ის კი არ უნდა დავასკვნათ, რომ სანამ ანარქისტული რევოლიუცია მოსპობდეს ყველა სოციალურ განსხვავებას, ჩვენ თანახმანი ვართ იმისა, რომ პრესა იყოს დაჩაგრული, როგორც გერმანიაში, კრების თავისუფლება დევნილი, როგორც რუსეთში, პიროვნების ხელუხლებლობა ილახებოდეს, როგორც ოსმალეთში.

როგორი მონებიც უნდა ვიყვნეთ კაპიტალისა, ჩვენ მაინც გვინდა ვებრძოლოთ ყველა ის, რასაც საჭიროება მოითხოვს, შევიკრიბნეთ და შევერთდეთ ჩვენის ნებით და ყოველივე ეს, უმთავრესად, იმიტომ, რომ, რაც-კი შეიძლება ჩქარა, დავამხოთ სამარცხვინო მონება კაპიტალისა.

მაგრამ დროა შევიგნოთ, რომ კონსტიტუციონალურ მთავრობას არ უნდა ვთხოვდეთ ჩვენ შველას. კოდექსის კანონებში იკი არ უნდა ვეძებდეთ ჩვენ ფარველობას, რომელიც შეიძლებს მოსპოს მმართველთ პირველი ახირებულება არა ჩვენ უნდა ვეძებდეთ ჩვენ ბუნებრივ უფლებების მფარველობას, მხოლოდ მაშინ შევიძლებთ ჩვენ უფლებების დაცვას, როდესაც ჩვენ ძალას შევაერთებთ, რომლითაც აღვასრულებთ ჩვენ მოთხოვნებს.

მოვინდომებთ თუ არა ჩვენ ბეჭდის თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას, კრების, კავშირების— ჩვენ არ უნდა ვთხოვოთ ისინი პარლამენტს, არ უნდა უცდიდეთ პარლამენტიდან, სენატისაგან, როგორც მოწყალებებს, შესაფერ კანონების შემოღებას ნუ დაველოდებით ჩვენ ძალ-ღონეს ჩვენ უფლებებისთვის და თამამად დავდგეთ მისთვის შეერთებულის ძალით ჩვენზე იერიშის მიმტანთ წინააღმდეგ; ვიყვნეთ ძალოვანნი, და მაშინ არავინ დაგვიშლის ჩვენ ლაპარაკს, წერას, შეკრებას. იმ დღეს როდესაც ჩვენ შევძლებთ დაჩაგრულების ერთსულობით აღფრთოვანებას, ამ წყნარ, მაგრამ მრისხანე ლაშქრის, რომელიც შეერთებული იქნება ერთის სურვილით—შეიძინოს და დაიფაროს თავის უფლებები, არვინ იკადრებს იმის ჩვენგან შეცილებას. მაშინ, მხოლოდ მაშინ, **დავიპყრობთ** ჩვენთვის ამ უფლებებს, რომელსაც ამაოდ მოვითხოვდით რამდენიმე ათ წლებს რომელიმე კონსტიტუციონალურ მთავრობას, მაშინ ისინი უფრო დაგვიკუთვნებიან ჩვენ, ვიდრე მას მოგვცემდნენ დაწერილი კანონები.

უფლებებს არ იძლევიან, მას იღებენ!..

პ. მარტყოფელი.

---

*) იხ. «მუშა» მე-11 №.

---

## ახალი ამბავი

ხუთსს ივნის ქართული კერძო გიმნაზიიდან გოროდოვოებმა გამოიტანეს გვამი მოკლულის გიმნაზიის დირექტორის შიო ჩიტაძისა და წაიღეს მიხეილის საავადმყოფოში. ამის შემდეგ ხალხს მისცეს ნება ათხრეულს შენობაში შესვლისა. როგორც ეტყობა გაავთრებული პოლიციელ ინგუშ-სალდათები შეცვივნულან ქიშკრიდან, საიდანაც ჯერ სარდაფში უნდა გაევლოთ და შემდეგ მაღლაც აცვივულან. აგრეთვე შემოუმტვრევიათ „პოდიეზდის“ კარები. შენობა ძირ სართულიდან დაწყებული მესამე სართულამდე ყველგან აოხრებულ განადგურებულია: აქა იქ სისხლი აქცევია დი ნივთები, როგორც სასწავლო ისე კერძო პირებისა შეეიცრის თუ სხვისი ან გატაცებულია ან მინტვრეულ მონტვრეულ და მირეულ მორეულია.

გადანგრეულია მიხეულ მოხეული წიგნთსაცავი; მაგრამ ყველაზე უფრო რაც ხვდება თვალს და კაცს უკლავს გულს დირექტორი „შიოს“ ბინა. სასადილო ოთახი სადაც განსვენებული, მოუკლავთ თავზარს დასცემს მნახველს. კარები ძირიდან თავამდე მოსვრილია სისხლით. იატაკზე ტბა სისხლისა დახმობია და სისხლითვე ჰერს ქვეშ მორწყული მარჯვნივ კედელი. იქვე სტოლზე, რომელ ს წინაც განსვენებელს თავის სისხლში გასვრილს, დაულევია სული, აგდია ოხრ.თ შავი შლიაპა-ნივთები ერთიანათ მილეწ-მოლეწილი. შკაფები დამტვრეულია, ყუთები, კალათი, ჩამოდანი და სხვანი დალეწილია, და ნივთები ალარსად სჩანს. წიგნები, რვეულები თუ სხვა რამ მიხეულ-მოხეულია.

შიოს სურათები სურათებიდან ანასდათ გამორჩეულია დაგლეჯილი ჰყრია. აგრეთვე აოხრებულია სამუშაო ოთახი, სადაც ერთი ნივთი თავის ადგილზე ალარ სჩანს, გარდა ერთი გვერდზე ჩამოკიდებული სურათისა, რომელშიაც შიო გადარჩენილა გაუსვლელად და შტიკ და უკრავათ. იქვე გდია დიდი ჯგუფ ს სურათი, სადაც შიოს პირისახეში ჩაუკრავთ შტიკი. ერთი სიტყვით,

შენობას დაუზოგავის მტრის ხელი ატყვია.

— როგორც შევიტყვეთ ბათუმიდან ამ დღეებში კიდევ გამოუგზავნიათ თბილისისკენ ნამალევათ 50 სალდათი. როგორც სჩანს თბილისში ეს სალდათები არ ჩამოუყვანიათ.

შესაძლებელია, ყარსისკენ ან კიდევ სხვაგან აღმოსავლეთ ქალაქებში გაგზავნენს.

— როგორც ვიცით პოლიცმეისტერი მძიმეთ დაჭრილი საექიმოთ გადაიყვანეს ბინიდან მიხეილის საავადმყოფოში.

5 ივლისს პოლიცმეისტერს მკლავიდან გამოუღეს ძვლები, ხოლო ხელი კი ჯერ მისი სურვილისამებრ არ მიუჭრიათ.

— როგორც ახალციხის მაზრიდან გვიტყობინებენ რამოდენიმე უცნობს სოფ. ურაველკას გზაზე მოუკლავთ ტყის მცველი კარიბ-ალი-ოღლი. გამოძიება სწარმოებს.

— ბაქოდან გვატყობინებენ, რომ ნობელის ამხანაგობის ქარხნის მუშებს რიცხვით 500 კაცს ცუდათ მოქცევის გამო მემანქანე ბარინოვი დაუსვამთ მიწის საზიდზე და გამოუყვანიათ ქუჩაზე, სადაც გადაუგდიათ საზიდიდან და შემდეგ არხეინათ შებრუნებულან სამუშაოთ.

— როგორც ლეჩხუმიდან გვატყობინებენ, რომ 28 ივნის სოფელს ნაკურალეში ოთხი შეიარაღებული კაცი დალაქს სვანაძეს(?) თავსდამსხმელებმა რამოდენიმჯერ გაისროლეს რევოლვერი. ეს ამბავი შეიტყვეს სოფლელებმა უცბათ შეგროვდენ და დაედევნენ თავს დამსხმელებს, რომელმაც ხალხის დ ნახვაზე მოჰკურცხლეს. სამა მათგანი შეიპყრეს და მეოთხე კი გაიქცა და მიიმალა.

— იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ს. ლაილაშში მოუკლავთ წირვაზე მიმავალი ხუცეს ანტ. ჩაჩხიანი. ეს ჩაჩხიანი ამას წინათ ქალაქს ქუთაისში დასჭრეს გენერალი ალიხანოვის გულუხვი გამასპინძლების გამო.

— 5 ივნისს სალამოს დანიშნული იყო საგანგებო კრება ქალაქის საბჭოში გამოცხადდენ მხოლოთ 8 წევრი და ყველა გამგეობის წევრები. დანიშნული იყო განსახილველათ უსაქმოთ დარჩენილთა მოთხოვნილება. უსაქმოთ დარჩენილები საშინელი უკმაყოფილებ გამიწვია ქალაქის საბჭოს ულუკმო პურით დარჩენილს მუშების საქმეებზე გულგრილობამ. კრებამ დაადგინა უკმაყოფილება გამუცხადონ საბჭოს იმ წევრებს, რომლებმაც საჭიროთ არ იცნეს 5 ივნისს კრებაზე დასწრება. და დანიშნეს კრება 6 ივნისისთვის.

— შირინკინის ოფიციალური ჩვენება: „4 ივლის სალამოს რვა საათზე, როდესაც პოლიცმეისტერი როტმისტრი მარტინოვი გენერალ გუბერნატორთან მიდიოდა, პეტრე ველიკის ქუჩაზე თავის სადგომთან რამდენიმე ნაბიჯზე სათავად აზნაურო გიმნაზიის მესამე სართულიდან ესროლეს ყუმბარა რომელმაც მძიმერ დასჭრა პოლიცმეისტერი ხელში და ფეხში. გიმნაზის შენობაში შევიდნენ პოლიციელები და ჯარი და დაატყვევეს ერთი ბოროტმოქმედთაგანი, ხოლო მეორე მოჰკლეს წინააღმდეგობის გაწევის გამო იმ ფანჯარაზე, საიდანაც ყუმბარა იყო ნასროლი იპოვეს მეორე სასროლით მომზადებული ყუმბარა. ნამესტნიკმა მაშინვე ინახულა დაჭრილი პოლიცმეისტერი, რომელიც ექიმების შემოწმებით თუმცა მძიმეთ არის დაჭრილი მაგრამ სასიკვდილოთ კი არაა. დილის 11 საათზე ნამესტნიკმა მეორეთ ინახულა დაჭრილი ქალაქის საავადმყოფოში.

# რუსეთი

შლისერბურგში გაწვეულია ჯარი და დარაჯები. ეტყობა მღელვარება მეტადრე შლისერბურგის ჩითის მანუფაკტურას. (დვადცატი ვეკი).

—

დაიწყო მღელვარება პეტერბურგის გრადონაჩალნიკის კანცელიარიის მოხელეთა შორის. მორიგ მოხელემ ჟანდარმერიის ოფიცერმა სცემა ვახმისტრს კოლოსევს.

მოხელენი აპირობენ პროტესტი განუცხადონ და წარუდგინონ ეკონომიური მოთხოვნილება. (ნაშა ჟიზნ).

—

„XX ვეკ“ — ს ტელეგრამით ატყობინებენ მალაკლავიდამ, რომ 28 ივნის, „ჩესმის“ და „პონტელეიმონის“ გემებ ს ცურვის დროს კერჩის ახლო, მოხდა არეულობა.

—

პოლიცის დეპარტამენტი ჰკრებს აგენტებს, რომელთაც უნდა ჯარში აღაფრთოვანონ პატრიოტული გრძნობანი უპირატესობას აძლევენ არჩევნაში აგენტებს გიორგის კავალლებს. (მისლ).

—

დაბა ბობროვეილში, ჩერნიგოვის გუბერნიაში, მოხდა დიდი არეულობა შეტაკება მოხდა გლეხ და ყაზახებ შორის. არიან კვდარი და დაჭრილნი. (მისლ)

—

ქერჩში ერთ ჟანდარმთა გენერალის დასაფლავებაზე უცნობი კაცი თურმე ყველას ორ ყუმბარას აჩვენებდა და ამბობდა: ეს ყუმბარები ებრაელებისაგან მივიღე, რომელთაც მომანდეს პროცესიას ვესროლოო, ამისათვის ებრაელებმა 25 მანეთი მომცესო ეს კაცი დაიჭირეს, გაჩხრიკეს და ხელში ყუმბარების მაგივრად უბრალო თუნუქის ყუთები აღმოაჩნდა.

—

ვარშავასა, ხარკოვსა, პოლტავასა და მრავალ სხვა ქალაქში აკლებას მოელიან. ვარშავიდან მრავალი ხალხი გახიზნულა: ზოგი პროვინციაში, ზოგი საზღვარ გარედ. გემებზე და მატარებლებში რომ ადგილი არ იყო, ხალხი ურმებით მიდიოდა. ერთ ქალს, საზღვარ-გარედ მისულს, უამბნია, რომ ნაცნობმა აფიცერმა მირჩია წავსულიყავ ვარშავიდან ბავშვებით, რადგან დიდი შიში მოელის ქალაქის მცხოვრებთაო.

—

როგორც გაზ. „კრესტ. დეპ“ იტყობინება, პეტერბურგიდან შიფრიანი დეპეშა მიუვიდათ ბოქაულებს, რომლითაც უბრძანებენ: „მოვლენ თუ არა დეპუტატები პროვინციაში, თუნდა სულ 5—6 კაცი იყოს შეყრილი, ესროლეთ და ვითომ უცაბედათ ბრბოში სწორეთ დეპუტატები დახოცეთ, არ გაამართვინოთ მიტინგები და ყოველთვის იარაღი იხმარეთ ხოლმე“.

# უცხოეთი.

ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები.

კონგრესმა მიიღო ახალი კანონ — პროექტი, ქვეშერდომობიმიღების შესახებ. უცხოელთ, რომელთაც არ იციან ინგლისური ენა ვერ შეუძლიან გახდნენ მოქალაქენი შტატისა. როგორც ეტყობა ამ რიკამაც მიყო ხელი ემიგრანტების შევიწროებას.

# კორესპოდენცია

**დ. ჭიათურა.** 3 ივნისს აქ ჭიათურაში ვაგონების მუშებმა უარ ჰყვეს ვაგონებზედ პოდრიაჩიკები, რადგანაც ზედმეტი ბარგიაო, ალვარეს ჩვენც შ გვიძლია უპოდრაჩიკოთ გაუძლვეთ ჩვენ საქმესაო. რაც იმათ უმუშავრად მიაქვთ ის ჩვენ მოგვეხმარებისო. მაგრამ ამაზედ მუშათა პარტია ს. დემოკრატია წინაამდეგია უპოდრაჩიკოთ არ იქნებაო, რადგან პოდრაჩიკებს იმათ კამიტეტში ფული შეაქვთ, სენი თანახმაა ამ ნაირ მოთხოვნილებების მუშებისას და ურჩევენ კიდევაც შესწყვიტონ ყოველივე კავშირი იჯარადრებთა ვაგონების დატვირთვაზედ. შემდეგ როგორ წავა საქმე ეს მუშებზედ არის დამოკიდებული და ისრე ბ-ნ. ვითომდა მუშათა პარტია ყოველ ღონეს იხმარებენ ამის წინაამდეგ, რადგან იმათ პროგრამას ეწინააღმდეგება ამ რაირი ამხანაგური მუშაობა და იჯარადრების და ბურჟუა-კაპიტალისტების მოსპობა უსურვებ ჭიათურის მუშებს აეკრძალებინათ ამ ნაირი მუშაობა და მასთან მოუწოდებ ყველას ბ ვიტყვი რომ შესაძლოა უპოდრაჩიკოთ ჩვენი მუშაობა როგორც მაღნებშიდ ისთე ვაგონებზედ. პოდრაჩიკები … ბარგია. მაშ გაუმარჯოს … მუშაობას, ძირს პოდრაჩიკ… უმარჯოს მუშების … ბრძოლას კაპიტალისტების წი… დეგ.

მუშა ჰ. ბ…

# დეპეშები

**ხარკოვი.** სასამართლო… ვრის დეპრაროდოვიჩის სახ… ცვივდნენ 9 ნიღაბაფარებ… და შეიარაღებულნი ავაზა… თხოულობდნენ ეჩვენებინათ… ასტყდა ხმაურობა და ბორო… ქმედნი მიიმალნენ. მსუბუქ… დაჭრილი ცოლი დეპრარო… სა დანით.

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმ… სკრილოვი ინიშნება მთავარ… დირად შავ ზღვის ფლოტის.

**პეტერბურგის.** „რუსკი ინ… ში“ სრულიად დაბეჭდილია პრ… ჟენსკი პოლკში მომხდარი არე… ბა.

**რიბინსკი.** ნავთ-სადგურ… დაზე გაფიცულ მუშების მაგი… სამუშაოდ სხვები ჩააყენეს.

**კრემენჩუგი.** აქ ავრცელებ… ევის პროკლამაციებს, „კრამოლ… დუმის და ინტელიგენციის ასა… ბად.

**დრუსკენივი.** გუშინ ცეც… შთანთქა რამდენიმე სახლ… ლათ აშენებულ სასტუმრო … ფშიცაში“ დაიწვა ოთხი მუშა.

**პეტერბურგი.** მესამე როტის … პიორთა ბატალიონის უფრ… გრაფ-ტოტლებენი დასჭრეს თავ… მსროლელი მიიმალა იქვე მდგ… ნავში.

**პარიჟი** პიკარი დანიშნულ… მეათე დივიზიის უფროსად, … ნაკებულ ქალაქ პარიჟში.

**სევასტოპოლი.** ბრესტოვსკის პ… ლკის კამანდირს დუმბაძეს უც… რა ესროლეს, რომელიც არ გა… სკდარა. გაისმა მხოლოდ ერთ… რევოლვერის ხმა. დაჭერილნი არი… ან ორნი.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** გილზების ქა… რხანაში მუშებმა განაგრძეს მუ… შაობა თავიან გამარჯვებით და მუ… შაობენ რვა საათს.

**ლოდზი.** გაიფიცა ელექტრონ… ტრამვაი.

**კიევი.** სასოფლო — სამეურნ… გაფიცვები დღითი-დღე აკლდება.

**განჯა.** რამდენიმე მაზრაში … დევ არის სომეხთა-თათართა შეტაკება. ჩრდილოეთისკენ ჯერ სიწყ… დრ.

**ალატირი.** გუშინ ცეცხლისაგან ნახევარი ქალაქი გადიწვა.

რედაქტორ გამომცემელი
მიხეილ დიასამიძე